ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს წევრის ნინო რუხაძის

ანგარიში

(საანგარიშგებო პერიოდი: 2020 წლის 1 ნოემბერი - 2021 წლის 1 ნოემბერი)

საანგარიშგებო პერიოდში ჩემი, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საქმიანობა ხორციელდებოდა ოთხი ძირითადი მიმართულებით:

პირველი მიმართულება მოიცავს საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობას, რაც გულისხმობს საკრებულოს ორი კომისიის (იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია) საქმიანობასა და საკრებულოს სხდომებში მონაწილეობას.

საანგარიშგებო პერიოდში:

- ✓ დავესწარი იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის **22** სხდომას და მონაწილეობა მივიღე **452** საკითხის განხილვაში;
- ✓ დავესწარი ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის **14** სხდომას და მონაწილეობა მივიღე **22** საკითხის განხილვაში;
- ✓ დავესწარი საკრებულოს **22** სხდომას, რომელთა ფარგლებშიც მიღებულ იქნა 547 განკარგულება და **111** დადგენილება.

მეორე მიმართულება მოიცავს ევროპული მუნიციპალიტეტების საერთაშორისო პლატფორმების საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას.

2021 წლის იანვარში საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ (NALAG) წარმადგინა ევროპის რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების საკონსულტაციო პლატფორმასა (PLATFORMA) და ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოში (CEMR) დელეგატად. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 28 იანვარს ამირჩიეს CEMR-ის ვიცე-პრეზიდენტად.

ზემოაღნიშნულ ევროპულ სტრუქტურებში დელეგატად წარდგენის დღიდან აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი მათ ღონისძიებებში, რომელთა ფარგლებშიც ევროპელ კოლეგებს ვაცნობდი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის პოლიტიკას სატრანსპორტო, გარემოს დაცვის, ურბანული და ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებებით, აგრეთვე CEMR-ისა და PLATFORMA-ის მეშვეობით ხელს ვუწყობდი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და ევროპულ მუნიციპალიტეტებს შორის კავშირების დამყარებას თბილისისთვის მნიშვნელოვან საკითხებსა და აქტუალურ პრობლემებზე გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მესამე მიმართულება მოიცავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას.

საანგარიშგებო პერიოდში ჩატარდა ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს სხდომა და საკოორდინაციო საბჭოს ეგიდითა და თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ორგანიზებით შეხვედრა გაიმართა ქ. თბილისის

მერიისა და სამგორის რაიონის გამგეობის წარმომადგენლებთან სოციალურ და ჯანდაცვის სფეროებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის პროგრამებთან დაკავშირებით.

მეოთხე მიმართულება მოიცავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრის უფლებამოსილების შესრულებას.

საანგარიშგებო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 43 სხდომა და განიხილა 2390 საკითხი, ადგილზე შესწავლილ იქნა 145 საკითხი. გარდა ამისა, სისტემატურად მიმდინარეობდა მოქალაქეებთან შეხვედრა და განმარტებების გაკეთება არამართლზომიერად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების საკითხებთან დაკავშირებით,.